პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТУ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 59 (11063) | ოთხშაბათი, 12 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

კიდევ ათიოდე დღე და ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. საქართველოს კულტურის მოღვაწეები — მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, სცენის ოსტატები თავიანთ შემოქმედებას უჩვენებენ მაღალმომთხოვნ მოსკოველ მაყურებელსა და მკითხველს, უჩვენებენ, თუ როგორ იფურჩქნება და ჰყვავის საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურა.

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე, მოწინავე ქართული ლიტერატურა და ხელოვნება მუდამ უდიდეს ინტერესს იწვევდა და იწვევს ჩვენს მოძმე ხალხთა შორის. ახლაც მოსკოველი მაყურებელი დიდი ინტერესით მოელის ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადას, რომელიც არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების დიდი მოვლენაა, არამედ აგრეთვე წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის ერთ-ერთ ბრწყინვალე გამოხატულებას, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საუკეთესო ნიმუშს.

დღითიდღე ფართოვდება ქართველი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი სხვა ხალხების კულტურის მოღვაწეებთან. დიდი ამაგი დასდეს ქართულ კულტურას ცნობილმა რუსმა მწერლებმა ტიხონოვმა, ზაბოლოცკიმ, პასტერნაკმა, ანტოკოლსკიმ, მეჟიროვმა და სხვებმა, რომლებმაც მაღალოსტატობით თარგმნეს ქართველ მწერალთა ნაწარმოებნი. მათ მიერ თარგმნილი მოთხრობები და ლექსები დიდი ტირაჟით გამოიცა მოსკოვში. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ ფართო მკითხველი ახლოს გაეცნოს თანამედროვე და კლასიკურ ქართულ ლიტერატურას.

ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ასეთი თანამეგობრობის შედეგად, საქართველოს ლიტერატურამ და ხელოვნებამ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. ქართულ საბჭოთა პოეზიასა და პროზაში ცოტა როდია ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც ღრმად სწვდებიან ადამიანის სულსა და გულს, უნერგავენ პატრიოტიზმის მაღალ იდეალებს. ქართველმა მწერლებმა შექმნეს მთელი რიგი ღრმაიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები. შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“, ლ. ქიაჩელის „მთის კაცი“, კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, გ. აბაშიძის „ლაშარელა“, ა. ბელიაშვილის „უღელტეხილზე“, ა. ქუთათელის „პირისპირ“, თ. დონღაშვილის „ალაზანზე“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, ა. ჭეიშვილის, კ. ლორთქიფანიძის, ს. კლდიაშვილის, დ. შენგელაიას და ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის მოთხრობები მოწმობენ თანამედროვე ქართული პროზის აღმავლობას.

აღმავლობას განიცდის აგრეთვე ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურა. უკანასკნელ წლებში შეიქმნა საინტერესო სიმღერები, ოპერები, ბალეტები, განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასს, რომელმაც საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენლის ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით ასე შესანიშნავად დადგა ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი ქართველი მხატვრები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და სახვითი ხელოვნების სხვა დარგებში.

მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდება დეკადას ქართული კინემატოგრაფია, რომელშიც საბჭოთა მაყურებელი უკანასკნელ წლებში ბევრი კარგი ფილმით გააცხარა.

და კიდევ რამდენი რამ არის საინტერესო და სასახელო, რომლებითაც ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივები წარსდგებიან მოსკოველ მაყურებელთა, მსმენელთა და მკითხველთა წინაშე.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წერილებს უკვდავი საუნჯის — ქართული ხალხური ხელოვნებისა და ზეპირსიტყვიერების შესახებ. ეს საუნჯე — ხელთუქმნელი მარგალიტები იმ უშრეტი წყაროს სათავეა, საიდანაც მოდის, იზრდება და ვითარდება ჩვენი თანამედროვე ხელოვნება და ლიტერატურა.

ქართველი ხალხი დასაბამიდანვე უმღეროდა ძმობას, მეგობრობას, სიყვარულს. იგი ოცნებობდა თავისუფლებაზე, ლაღ და ბედნიერ ცხოვრებაზე. ამისათვის მოუხმობდა გმირ მებრძოლებს, სამშობლოს სახელოვან შვილებს ზღაპრებში, თქმულებებში, ზეპირსიტყვაობაში, სიმღერებში, ამ გმირებს აძლევდა ხმალსა და აბჯარს, უნერგავდა ძალასა და გონიერებას.

საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი არა მარტო ოცნებობდა თავისუფლებასა და ბედნიერ ცხოვრებაზე, არამედ მამაცურად უმკლავდებოდა გარეშე დამპყრობლებს, თრგუნავდა შინაურ მტრებს და დაუღალავად იბრძოდა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ხმალთან და გუთანთან ერთად მას ამაყად ეჭირა ფუნჯი და საჭრეთელი, ქმნიდა ბრძოლისა და შრომის შთამაგონებელ ჰანგებს.

მშრომელი ხალხის ამ გმირულ ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია. დიდმა ოქტომბერმა ფრთები შეასხა მის სურვილებსა და ოცნებას. დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელმა ხალხმა საკუთარი მკლავით მოიპოვა თავისუფლება და ოთხოდე ათეული წლის მანძილზე მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომუნისტური საზოგადოების ნათელ შენობას.

კომუნიზმის უძლეველ მწვერვალებს, ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას, ყველაზე დემოკრატიულ საბჭოთა მთავრობას, გმირ ხალხს უმღერიან ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატები, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეები. ისინი მოსკოვში მიდიან ერთი რწმენით — თავიანთი მხატვრული ოსტატობით კიდევ ერთხელ დაამტკიცონ, თუ როგორ ჰყვავის და იფურჩქნება მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ძმურ ოჯახში საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კულტურა.

ვუსურვოთ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს ღირსეული წარმატება საყვარელ დედაქალაქ მოსკოვში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲪᲔᲛᲐ

10 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცეს პროფესიულ კავშირთა აქტივს — საქართველოს სსრ მუშებს, ინჟინრებს, მექანიკოსებს, მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, პროფკავშირული ორგანოების მუშაკებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან აქტიური მუშაობისათვის პროფკავშირებში, დამსახურებისათვის მშრომელი მასების დარაზმვაში სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის და პროფესიული კავშირების ორმოცდაათი წლისთავის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. გელდიაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ შრომის წითელი დროშის ორდენი გადასცა პროფკავშირის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარეს, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის № 3 უბნის მნგრეველმტვირთავთა ბრიგადირს რ. შ. აკიბას, პროფკავშირის საამქროს კომიტეტის თავმჯდომარეს, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბრიგადირს შ. ნ. ქაჯაიას, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ს. რ. კალანდაძეს, პროფჯგუფორგს, ლაჯანურის ჰესის მშენებლობის № 4 სანგრევის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს დ. დ. ყურაშვილს, პროფჯგუფორგს, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომს მერგოლურს ა. ნ. მეგუთნიშვილს, პროფჯგუფორგს, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ვოროშილოვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მადნის მრეცხავს ნ. ნ. ჭუმბურიძეს. შრომის წითელ დროშის ორდენი მიიღო სულ 17 კაცმა.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცათ პროფჯგუფორგს, ტყვარჩელის ჰესის მშენებლობის მებეტონეს ა. ა. ანტონიდას, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს გ. კ. ძიძიგურს, ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ი. ჟორჟოლაძეს, პროფჯგუფორგს, თბილისის ფოლადთუჯის სამსხმელო ქარხნის მუშას გ. ნ. კურტანიძეს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნ. თ. თათრიშვილს.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი მიიღეს აგრეთვე პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ, „თბილმშენის“ საწარმოთა კომბინატის მეპარკეტე მუშამ გ. ო. ხმალაძემ, ენგურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ს. ჭოჭუამ და სხვებმა, სულ 27 კაცმა.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო 19 კაცმა, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 17 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ შ. ნ. ქაჯაია და გ. ი. ჟორჟოლაძე.

ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და შემდგომი წარმატება უსურვა მათ მუშაობაში, იმ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დაუსახა პროფკავშირებს.

მთავრობის ჯილდოების გადაცემას დაესწრო საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი. (საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1958 წლის 9 მარტს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გამოჩენილი ენერგეტიკოსი, შატურის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, დნეპრის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა ენერგეტიკული ობიექტების მშენებელი, რუსეთის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის შემმუშავებელი კომისიის ერთ-ერთი მონაწილე აკადემიკოსი ალექსანდრე ვასილის-ძე ვინტერი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ᲯᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲠᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ

გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად, ჯავის რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე, მიმდინარე წლის 1 მარტისათვის, შეასრულეს ხორცის დამზადებისა და შესყიდვის წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა 110 პროცენტით, რძისა — 114 პროცენტით. (საქდესი).

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲒᲔᲚᲘᲗ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ფრიად მოხარული ვარ, რომ ჩემი ამხანაგები, რომლებთანაც ერთად მე ფეხი ავიდგი ხელოვნების სარბიელზე, ჩამოდიან ამ დღეებში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

მოსკოველებს კარგად ახსოვთ საქართველოს ხელოვნების ოსტატთა სპექტაკლები 1937 წელს ჩატარებულ დეკადაზე. მათ უკვე მაშინ გაახარეს და მიანიჭეს ესთეტიკური სიამოვნება მოსკოველებს თავიანთი ხელოვნებითა და ოსტატობით. პირველ და მეორე დეკადათა შორის განვლილ დროში უთუოდ გაიზარდა და მაღალ მხატვრულ დონეს მიაღწია შესრულების ოსტატობამ და სპექტაკლების დადგმის ხარისხმა. და ჩვენც დიდი ინტერესითა და ყურადღებით ველოდებით ჩვენი თბილისელი მეგობრების საოპერო და დრამატულ სპექტაკლებს.

ყველა ჩვენგანმა იცის, რომ მომძე ქართველი ხალხის ხელოვნება, ისევე როგორც სხვა საბჭოთა ხალხების ხელოვნება, ამ წლების მანძილზე ერთ ადგილზე არ იდგა, არამედ სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა.

ერთხელ კიდევ მივესალმები ჩემს კოლეგებს და მეგობრებს საბჭოთა საქართველოდან. მოსკოველებს ყოველგვარი საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ მოძმე საქართველოდან ჩამოსული სტუმრების გამოსვლები გამოიწვევენ არა მარტო ინტერესს, არამედ გაცილებით მეტ მოწონებასაც, ვიდრე 1937 წლის დეკადის დღეებში.

გელით თქვენ, მეგობრებო და ამხანაგებო, ჩვენს მშობლიურ მოსკოვში.

Ა. ᲛᲔᲚᲘᲥ-ᲨᲐᲨᲐᲔᲕᲘ,

სსრ კავშირის დიდი თეატრის მთავარი დირიჟორი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: სსრ კავშირის დიდი თეატრის შენობა. სადაც ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში სპექტაკლებს გამართავს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲠᲐᲓᲘᲝ...

საკავშირო რადიოს ლიტერატურულ-დრამატული მაუწყებლობის მთავარი რედაქცია ატარებს რადიოგადაცემათა დიდ პროგრამას საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის.

საამისოდ მზადდება დეკადის სალიტერატურო ნაწილის ჩატარების კომისიის თავმჯდომარის მწერალ ნიკოლოზ ტიხონოვის გამოსვლა. სპეციალური გადაცემა უკვე მიეძღვნა პოეტური შედევრის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სრულ თარგმანს. ამ გადაცემის დროს მიკროფონთან გამოვიდა პოეტი-მთარგმნელი ნიკოლოზ ზაბოლოცკი და წაკითხულ იქნა თავები პოემიდან.

ერთ-ერთი საინტერესო გადმოცემა იქნება ირაკლი ანდრონიკაშვილის საუბარი თემაზე — ქართული ლიტერატურის კლასიკოსები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

მომზადებულია გადაცემა ქართველი მწერლების დეკადისათვის გამოსული ახალი ნაწარმოებებისა. მიკროფონთან სიტყვებით გამოვლენ: საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკის“ მთავარი რედაქტორი, „გოსლიტიზდატის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორი.

რადიოთი გადმოცემული იქნება საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის ირაკლი აბაშიძის საუბარი ქართული პროზის შესახებ.

ერთ-ერთი გადაცემა მიძღვნილი იქნება საქართველოს გამოჩენილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებისადმი. წაკითხული იქნება შესავალი სიტყვა მწერლის შემოქმედების შესახებ. შემდეგ გამოვა კ. გამსახურდია. აგრეთვე წაკითხულ იქნება ნაწყვეტები მწერლის ნაწარმოებებიდან.

თვალსაჩინო ადგილი ეთმობა ახალ დიდ ნაწარმოებებს. რადიომსმენელები მოისმენენ საქართველოს უხუცესი მწერლის შალვა დადიანის ახალი რომანის „გვირგვილიანების ოჯახის“ შესახებ შესავალ სიტყვას და თავებს ამ რომანიდან. რადიომსმენელები აგრეთვე გაეცნობიან თინა დონღაშვილის რომანს.

თავისი ახალი რომანის „რუსთაველი“ შესახებ სიტყვით გამოვა აკაკი ბელიაშვილი, რის შემდეგ წაიკითხავენ ნაწყვეტებს ამ რომანიდან.

რადიოგადაცემათა გეგმაშია ახალგაზრდა მწერლის რევაზ ჯაფარიძის რომანი „ჯარისკაცის ქვრივი“ — შესავალი სიტყვა და თავი რომანიდან.

გადაცემული იქნება ქართველი მწერლების (ა. ლომიძის, ე. ზედგინიძის და სხვ.) მოთხრობები.

მომზადებულია სპეციალური რადიოგადაცემა თემაზე: „მიმოხილვა, რომელიც მოიცავს: სტატიებსა და საუბრებს წიგნებზე (ლ. ქიაჩელის „რჩეული“, ა. ჭეიშვილის „რჩეული“, „ქართველ მწერალთა პატარა მოთხრობები“, საქართველოს ერთ-ერთი პოპულარული მწერლის კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები)“.

„ქართული საბჭოთა პოეზიის“ თემას მიეძღვნება ცნობილი პოეტის გრიგოლ აბაშიძის საუბარი.

მომზადებულია გადაცემათა სპეციალური ციკლი „საბჭოთა საქართველოს პოეტები“. მასში შედის საუბრები პოეტების შემოქმედებაზე, ლექსების კითხვა და პოეტთა გამოსვლა.

საინტერესო იქნება გადაცემა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“, სადაც გამოვლენ ანთოლოგიის შემდგენელი პოეტები და მთარგმნელები ნ. ტიხონოვი, ი. სმელიანოვი, პ. ანტოკოლსკი, ნ. ზაბოლოცკი, ა. მეჟიროვი, ვ. დერეკავინი და სხვ.

საღეკადო დღეების განმავლობაში ყოველდღე მოსკოვის დროით საღამოს 11 საათზე მოეწყობა რადიოგადაცემა „დღეს დეკადაზე“.

Ს. ᲠᲘᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ნაჩვენები იქნება უდიდესი მიღწევები კულტურული მშენებლობისა, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად. ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე.

დეკადაზე თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ თეატრალური და მუსიკალური კოლექტივები, რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები. დედაქალაქში გაიხსნება სახვითი ხელოვნების ნამუშევრებისა და ქართული ლიტერატურის გამოფენა.

რესპუბლიკის გამომცემლობები და პოლიგოფიული საწარმოები დიდ მუშაობას ეწევიან სადეკადო ლიტერატურის გამოსაცემად. ისინი დეკადისათვის ბეჭდავენ კლასიკოსთა და თანამედროვე ქართველ მწერალთა 150-ზე მეტ წიგნს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დეკადისათვის უკვე გამოუშვა 65-მდე წიგნი. აქ არის ქართველი მწერლებისა და პოეტების საუკეთესო ნაწარმოებები, რუსი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების, აგრეთვე სხვა მოძმე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები. უცხოელ მწერალთა საუკეთესო მოთხრობები და რომანები. ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით დიდი ტირაჟით დაიბეჭდა შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა. ეს შესანიშნავი ქმნილება ასი ათასი ცალი ტირაჟით დაიბეჭდა აგრეთვე რუსულ ენაზე. გამოვიდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა რამდენიმე ტომი.

თანამედროვე პროზიდან დეკადისათვის გამოიცა კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, აკ. ბელიაშვილის „უღელტეხილზე“, გ. აბაშიძის „ლაშარელა“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, თ. დონღაშვილის „ალაზანზე“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და მთელი რიგი სხვა საწარძოებები.

გამომცემლობამ დეკადისათვის დაბეჭდა გ. ტაბიძის, ალ. მირცხულავას, ტ. ტაბიძის, კ. კალაძის, ს. ბერულავას, მ. ქვლივიძის პოეტურ ნაწარძოებთა კრებულები.

ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა რუსი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. დეკადაზე წაკითხული იქნება პუშკინის ლექსები და პოემები, მ. გორკის 12 ტომეულის რამდენიმე წიგნი, ბ. ბელინსკისა და ნ. გოგოლის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეულები, სალტიკოვ-შჩედრინის „ბატონი გოლოვლიოვები“, მ. შოლოხოვის „წყნარი დონის“ პირველი ორი წიგნი (მეორე წიგნი გამოვა უახლოეს დღეებში), ა. სურკოვის რჩეული ლექსები და სხვ.

მოსკოვისა და ლენინგრადის სტამბები დიდ დახმარებას უწევენ გამომცემლობას საღეკადო ლიტერატურის ბეჭდვის საქმეში. ლენინგრადის მე-2 სტამბაში დაიბეჭდა შ. ამირანაშვილის სანტერესო ნაშრომი „ქართული კედლის მხატვრობის ისტორია“. რამდენიმე წიგნი იბეჭდება აგრეთვე მოსკოვის სტამბებში.

გამომცემლობის დაკვეთით ქ. ლაიპციგში დაიბეჭდა გ. ჩუბინაშვილის შესანიშნავი ნაშრომი „ქართული ოქრომჭედლობა“. ამ მონუმენტურ ნაწარმოებზე დართულ სურათებს წარწერა აქვს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ლაიპციგში იბეჭდება აგრეთვე ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომი „შუა საუკუნეების ქართული მხატვრული ხის ჩუქურთმა“.

სადეკადო ლიტერატურის გამოცემა დასასრულს უახლოვდება. დაიბეჭდება ქართული ხალხური ზღაპრები, გ. კაჭახიძის რჩეული ლექსები, ა. ენიკოლოფოვის „პუშკინი საქართველოში“ და ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე.

რუსულ ენაზე გამოვა დ. ჯაფარიძეის ნაშრომი „ქართული ცეკვები“, პ. ხუციშვილის წიგნი „საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი“, რომელიც მოგვითხრობს ამ შესანიშნავი შემოქმედებითი კოლექტივის მუშაობასა და წარმატებაზე. უკვე გამოვიდა ამავე ავტორის წიგნი — „საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი“. ამ დღეებში გამოდის აგრეთვე მ. ფიჩხაძის ორი წიგნი „ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“, „საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი“ და გ. ბუხნიკაშვილის მონოგრაფია „სუმბათაშვილი - იუციანი“. რუსულ ენაზე იბეჭდება ვ. გურგენიძის — „ქართული წიგნი“ რომელშიც მოცემულია ჩვენი მწერლობის მოკლე მიმოხილვა და გამოფენის მეგზური.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალი დეკადის წარმატება მთელი ჩვენი ხალხის ღირსების საქმეა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ღირსეულად წარვსდგეთ ამ მეტად პასუხსაგებ დათვალიერებაზე.

ნ. ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲘ

ᲘᲛᲔᲜᲐ ᲑᲣᲚᲘᲡᲙᲔᲠᲘᲐ

• • •

ვისაც კი შემთხვევა ჰქონია გალის რაიონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმავალი გზით სოფელ ოქუმისაკენ ემგზავრა, მას შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ირგვლივ გადაშლილი ბუნების მომხიბვლელი სილამაზე. ცადაზიდული მწვერვალები, მწვანით შემოსილი უსახელო გორაკები, მთები, ველები, რომლებიც თავიანთი სიმშვენიერით უსაზღვრო სიამოვნებას განაცდევინებს ადამიანს... ბუნების ამ სილამაზეს აგვირგვინებს წლის უმეტეს დროს თოვლით შემოსილი ანარიის მთა.

ანარიის მთიდან გადმოჰქუხს პატარა მდინარე ოქუმი, იგი ნაპარებს ისე მაგრად ეჯახება, რომ შორს ისმის მისი ხმაური. ამ პატარა მდინარის ნაპირას მდებარეობს სოფელი ოქუმი.

ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული ოქუმელთა ყანები. ნოყიერია ეს მიწა. ჭირნახულით რომ ავსებს ოქუმელ კოლმეურნეთა ბეჭნიერ ოჯახებს. სოფელს სილამაზეს მატებს უხვმოსავლიანი ხეხილის ბაღები, ციტრუსოვანთა და ჩაის პლანტაციები. საკოლმეურნეო წყობილებამ ფეხზე დააყენა ერთ დროს ტანჯულ-წამებული ოქუმელი გლეხკაცობა.

ოცდარვა წლის წინათ ოქუმელები გაერთიანდნენ კოლმეურნეობაში, რომელსაც დიდი ლენინის სახელი უწოდეს. მას შემდეგ დღითიდღე იწყო ზრდა სოფლის ხვავმა და ბარაქამ, ახალ ოქუმში ძველი ცხოვრების ნიშანწყალიც არ დარჩა. საკოლმეურნეო წყობილებამ სახე უცვალა სოფელს. იგი პატარა ქალაქს მოგვაგონებს თავისი საზოგადოებრივ-სამეურნეო ნაგებობებით, მთავარი ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული დეკორაციული ნარგავებით, დიდი, ლამაზი პარკით...

ცის ტატნობი ვარდისფრად რომ შეიღებება, სიცოცხლით სავსე კოლმეურნეები ურიამულით მიემართებიან ველ-მინდვრებისაკენ, რათა ბარაქა დაამატონ. კიდევ უფრო ააყვავონ მშობლიური სოფელი. საკოლმეურნეო მინდვრებზე ათასამდე კოლმეურნე მუშაობს. ოქუმელებს ყოველ წელიწადს ჩაის, ციტრუსების, სიმინდის, ტუნგოსა და სხვა სახოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მოპყავთ. განუწყვეტლივ იზრდება კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავალი.

ოქუმში, შავი ზღვისპირეთის ამ მიმზიდველ და ლამაზ სოფელში, აღიზარდა სოფლის მეურნეობის მრავალი ნოვატორი. აქ გაითქვა სახელი ჩაის უხვი მოსავლის ოსტატმა იმენა ბადრას ასულმა ბულისკერიამ.

შრომაში გაზრდილმა იმენამ რასაც ღღეს მიაღწია, ამაზე გლეხს ძველათ ოცნებაც არ შეეძლო. მის ბეჭნიერებაზე მეტყველებს ყველაფერი, მისი კარმიდამოს თვითეული კუთხეც კი.

ხალხის საერთო შრომის შედეგად კოლმეურნეობის ბეღლები ჭირნახულით აივსო, იმენა ბულისკერიას ოჯახშიც სინათლე და სითბო შევიდა. ყურადღებას იქცევს მისი სახლი და კარ-მიდამო. ფართოაივნიანი შესანიშნავი ორსართულიანი ოდა ამაყად გადაჰყურებს მდინარე ოქუმის თვალწარმტაც ხეობას. ოთახები მორთულია ძვირფასი ავეჯით. ნახვისთანავე იგრძნობა, რომ აქ ცხოვრობს შეძლებული კოლმეურნე, რომელსაც საკოლმეურნეო შრომამ შეუქმნა მთელი ეს სიმდიდრე.

იმენა ბულისკერია პატარაობისას ხშირად დედას მიჰყვებოდა ჩაის ფოთლის საკრეფად. და როცა წამოიზარდა, კოლმეურნეობის გამგეობას თხოვნით მიმართა მისთვისაც მოსავლელად გამოეყოთ ჩაის პლანტაცია. პირველად გამგეობის ზოგიერთი წევრი არც კი იყო თანახმა, ჯერ პატარაა და საქმეს ვერ გაუძღვებაო, მაგრამ იმენამ მალე გაფანტა ეს ეჭვი. იგი მუდამ თვალყურს ადევნებდა აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მარტო პრაქტიკული გამოცდილებით წინ ვერ წავიდოდა, თავის მიღწევებს ყოველწლიურად აუმჯობესებდა, და შედეგიც კარგ

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის წინ



მშრომელთა გულისთქმაა—ლენინი, პარტია, მშვიდობა!

ხალხის კოლექტიური შემოქმედება მტკიცე საფუძველია, რომელზეც ვითარდება ეროვნული კულტურის ისეთი თვალსაჩინო დარგები, როგორიც არის ხელოვნება და ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფიური აზროვნება. ათასების სიბრძნე და გამოცდილება ასაზრდოებს ინდივიდუალურ შემოქმედებას, აწვდის მას მასალას, იდეას, ფანტაზიას და გამარჯვების რწმენას.

მსგავსად ითვითეული ისტორიული ერისა, ქართველ ერს აქვს თვითმყოფი კულტურა, მრავალსაუკუნოვანი კოლექტიური ხელოვნება, რომელიც საფუძვლად დაედო შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ზაქარია ფალიაშვილის და მთელი რიგი თანამედროვე სახელოვანი ადამიანების შემოქმედებას.

ცხადია, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოსკოვის დეკადის წინ ფოლკლორიც უნდა მოვიგონოთ, გავიხსენოთ და ღირსეულად დავაფასოთ შემოქმედება, რომლის საფუძველზე განვითარდა და გაიფურჩქნა ის, რაც დღეს სიამაყის გრძნობას ჰგვრის თვითეულ ჩვენგანს.

ხალხური პოეზია მხოლოდ წარსულის პოეზია როდია, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე სინამდვილესთან და მის მართალ ასახვას გვაძლევს. მთქმელები და მომღერლები საქართველოს ყველა კუთხეში, თერად შევერცხლილი მთების მახლობლად თუ ციტრუსებითა და ზვრებით დაფარულ ბარში, მთელი გრძნობით უმღერიან თავისუფლებას, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს.

ჩვენი დროის ყველა მნიშვნელოვანი თემა მაღალმხატვრულ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ფოლკლორში. მაგრამ მათ შორის გამოიყოფა რამდენიმე, რომლებსაც ხალხის პოეტური ლირა განსაკუთრებული სიყვარულითა და გრძნობით შეჰხარის. მგოსნებისა და მომღერლებისათვის ასეთ მიმზიდველ თემებს წარმოადგენს ლენინი, პარტია, მშვიდობა.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ფოლკლორში წამყვანი ადგილი დაიჭირა რევოლუციურმა ნაკადმა, რომლის წარმოშობა უშუალოდ დაკავშირებულია ცარიზმისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლასთან. მშრომელთა განთავისუფლებას დიდი ლენინი და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდნენ. ეს ისტორიული მოვლენა დროულად შენიშნეს სახალხო მთქმელებმა და თავიანთ ლექსებში ლენინი ადამიანის ბედის გამხსნელად დასახეს, მზეს შეადარეს, რომელიც უკუნეთ ბნელს აქრობს, დღისით და ღამითაც ანათებს. მგოსანი ამქვეყნიურ მზეს — ლენინს ანიჭებს უპირატესობას.

ვით გკადრო, მაგრამ თქვენს შუა
დღია განსხვავება,
შენ მარტო დღისით გვინათებ,
ეს კი ღამითაც მზე არი.

„ეუ ცის მნათობის სხივები გარეგან სახეს გვიბრწყინებს, ლენინის სხივნი სულის სიღრმესაც სწვდებიან და შინაგანად გვათბობენ.

ლენინი უკვდავია ისე, როგორც მისი საქმე. ხალხს სჯერა —ორივე მზე მარადიული არიან.

ორივე მზე ხართ ბრწყინვალე,
სიცოცხლის ამყვავებელი;
არ არის ქვეყნად ძალა,
თქვენთა სხივთ ჩამაჭრობელი.

ეს მაღალპოეტური ლექსი ლენინის გარდაცვალების მეათე წლისთავზე ჩავწერე შავი ზღვის პირას. მას აქეთ იგი ერთ უპოპულარულეს ფოლკლორულ ნაწარმოებად იქცა და საბჭოთა კავშირის მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ლენინის საქმეს — კომუნიზმის მშენებლობას ახორციელებენ პარტია და ლენინის სახელოვანი მოწაფეები. კომუნისტური პარტია მშრომელთა სული და გულია, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში სათავეში ედგა დიდი მარქსისტ-ლენინელი ი. ბ. სტალინი. სახალხო მგოსნებმა მათზე მრავალი პოეტური შედევრი შექმნეს.

პარტია მშრომელთა ბელადი და მასწავლებელია. იგი გზას უჩვენებს მილიონებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

პარტიის დროშით დიდი გზა
განვვლეთ,
მომავალ გზასაც მტკიცედ გავიართ.
ყველანი ვხედავთ ხალხების ძმობას—
და კომუნიზმის დიად განთიადს.

ამიტომ სიყვარულით მღერის ხალხი:

დღეგრძელი იყოს, მზეგრძელი იყოს
კომუნისტების დიდი პარტია!

სოციალისტური ერების დიად თანამეგობრობაში ისტორიულ წარმატებებს მიაღწია საქართველოს რესპუბლიკამ. სწრაფად წავიდა წინ მისი კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება, ლიტერატურა და მხატვრობა. აღორძინდა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქსელმა დაჰფარა ჩვენი საყვარელი სამშობლო. მთელი ხალხი: მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია ხელიხელჩაკიდებული იბრძვიან შემოქმედებითი შრომის ფრონტზე.

კაცობრიობის სანუკვარ იმედს მშვიდობა წარმოადგენს. სწორედ ამაზე ჟღერს ახლა ქართველი ხალხის უკვდავი ქნარი.

ყველა მშვიდობას შეჰხარის —
ახალგაზრდა და ხნიერი,
არ გვინდა ომი, არ გვინდა,
დამღუპველი და ცბიერი.

ასე მღერის დღეს ალაზნის ხეობაში კოლმეურნე გლეხი, მასვე იმეორებენ მთაში თუ ბარად.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალი დეკადა საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში მშვიდობის ერთი შესანიშნავი დემონსტრაცია იქნება, რომელშიც, დარწმუნებული ვართ, მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური შემოქმედება ღირსეულ ადგილს დაიჭერს.

მ. ჩიქოვანი,
პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ჩვენი მრავალქამი ერი... ასე ვუწოდებთ მრავალქამგამოვლილ დიად განძს, ძვირფას საუნჯეს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, სულიერ სიამაყედ შემორჩა შთამომავლობას. ეს არის ხალხური შემოქმედება, რომლის წიგნი იყო ათასების გონება, რომლის სიბრძნე თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ძველ დროში იგი გადაგვარების გზას ადგა, და ოქტომბრის შუქი რომ არა, მართლაც გადაგვარდებოდა. ვინ იყო მზრუნველი, სად იყო პატრონი, თითო-ოროლა გულანთებული მამულიშვილი თუ ცდილობდა დავიწყებისაგან ეხსნა, ჩაეწერა, შემოენახა ხალხის ნათქვამი.

მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში დაფასდა ხალხის შემოქმედება. თვითმოქმედების ტრადიციული ოლიმპიადები თუ სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მძლავრ სტიმულს აძლევს ხალხური შემოქმედების შემდგომ აყვავებასა და გაფურჩქვნას.

ახალმა ცხოვრებამ, ბედნიერმა აწმყომ და უკეთესი მომავლის იმედმა გაფანტა სეფდის ხმა, ძველ სიმღერებსა და ლექსებში რომ გვესმის. კოლენიზმის ნათელი სასახლის მშენებელი ხალხი უმღერის ახალ დროებას, მშვიდობას, შრომას, სახელოვან გმირებს. დოვლათიანმა საკოლმეურნეო ყოფამ, ინდუსტრიული ქალაქების მძლავრმა მაჯისცემამ ძირფესვიანად შეცვალა ხალხური შემოქმედების თემატიკა.

ხალხური ხელოვნება უძირო ზღვაა, რომლის სარკეშიც ფაქიზად მოჩანს ადამიანი.

მესტვირე

შაირ სიტყვითა მესტვირემ ღმერთი
ძალალი ახსენა... ახსენა ღმერთი, და
ლერწმის ღეროდან ჩაბერა სტვირს, ჩაბერა და ატირა. მერე საკუთარი ლექსი და შაირიც მიაყოლა. ჩაამთავრა შაირი, კვლავ სტვირი შეაშველა, მერე ისევ ლექსი და შაირი... და ასე ტკბილი ღიღუნით ყვება მესტვირე „არსენას ლექსს“ და სამი გმირის თავგადასავალს, ხან სატრფიალოსა და სალაღობოსაც გაურევს, ლექსად გიამბობთ მთელი სოფლის ჯორსა და მართალს: ნეფე-დედოფლის, შვილმრავალი დედებისა და დიდედების საქებარს იტყვის, შინაბერებს და შინაყუდებს დაწოლიკებს, ხოტბას შეასხამს კარგ ვაჟკაცს და კარგ გუთნისდედას, სოფლის ავკაცს გაკიცხავს და შეაჩვენებს.

ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის, საქართველოში ყველა მისი ძმაკაცი და ნათესავია.

დადის ასე კარიკარად, სოფლიდან სოფლად, ქორწილიდან ქორწილში, დღეობიდან დღეობაში — თელეთობას და ალავერდობას, მცხეთობას და მოისარობას. ფეხით აქვს მოვლილი მთელი საქართველო ფარახეთიდან ზემო ალვანამდე, რიონის სათავიდან იორის და ალაზნის შესართავამდე.

ერთი უბრალო და გულმართალი კაცია. იქნებ შინ ნატეხი პურიც არ ეგულებოდეს, ის კი მღერის სალაღობოსა და სამხიარულოს. სახალხო მომღერლისათვის ხელმოკლეობა აბა რა სახსენებელია! აკი საკუთარ სიღარიბეს დასცინა და მიუღერა:

ერაძისა კარზედაო მტერს ნუ
დაუღამდესაო,
ჭადი ვთხოვე, ვერ მიშოვა, ქერქი
ედო ჯამზედაო.

დადის, აკვნესებს სტვირს, მღერის, შაირობს... არა, უკვე ალარ მღერის, ალარც შაირობს. ეს ძველი ამბავია.

წინათ ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებოდათ ისინი. უმეთოდ ლხინი ლხინს არ ჰგავდა, ქორწილი ქორწილს. გადმოგვცემენ, ერთ დროს მარტო ფარახეთში, რაჭის ამ ერთ პატარა სოფელში, ასოცი მესტვირე იყო. ამ ორმოცდაათი წლის წინათ ჯერ კიდევ ხშირად ნახავდით მათ სახალხო დღესასწაულებზე, მერე და მერე უფრო იშვიათად, ხოლო ამ რამდენიმე წლის წინათ უკანასკნელი რაჭველი მესტვირე — ზაქარია ერაძეც გარდაიცვალა.

ჩვენი თაობის ადამიანებს ახალგაზრდა მესტვირე არ უნახავთ. თეთრწვერა მოხუცი, ნათელი სახითა და ნათელი ღიმილით — ასე დარჩნენ ისინი ჩვენს მეხსიერებაში. ასევე ხატავენ მათ მხატვრები, ასე წარმოგვიდგენენ რეჟისორები თეატრსა და კინოში. ალბათ ამიტომაც იყო: წელს, ტელევიზორით თბილისელებს ახალი წელი მესტვირულით რომ მოგვილოცეს, სტვირის ერთადერთ დამკვრელს გიგა ჯაფარიძეს მოხუცი კაცის ბარიკი გაუკეთეს. სჯობდა კი თავისი სახითვე ეჩვენებინათ და გაეცნოთ ხალხისათვის ქართველ მესტვირეთა ერთადერთი მემკვიდრე და შთამომავალი.

გიგა ჯაფარიძე დიდად ნიჭიერი კაცია. ის შესანიშნავად უკრავს სტვირს, ლექსიც ეხერხება და შაირიც, მაგრამ იგი ტიპიურ მესტვირედ მაინც არ ჩაითვლება, ქორწილსა და დღეობაში ჯერ ის არავის უნახავს სტვირით ხელში. დრო მიდის, იცვლება ხალხის კულტურა და ზნე-ჩვეულება. მესტვირულმა პოეზიამ თავისი საქმე გააკეთა და, ჩანს, თავისი დროც მოკვამა, გზა ახალს დაუთმო. ჩვენი ხალხისაგან გიგა ჯაფარიძე მით უფროა მადლობის ღირსი, რომ ეს ძველთაძველი საკრავი არ დაამუნჯა, სამუზეუმო ექსპონატად არ გადაქცია და თავსატეხ გამოცანად არ გაუხადა მუსიკოსებს. ძარტო ის რად ღირს, მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალ დეკადაზე ზაქარია ერაძისეული სტვირით რომ წარსდგება იგი და ქართველი ხალხის შემოქმედების ამ შესანიშნავ ნიმუშს აჩვენებს ქვეყანას, მესტვირული ენით იმღერებს ხალხთა მეგობრობაზე.

მ. მიქაძე.

ქართული სიბრძნე მეგობრობაზე

☆ ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.
☆ ამხანაგთან მრუდედ მოქცევა — ქურდობა და ავაზაკობაო.
☆ არცა ურჯულო იკადრებს, უმუხთლოს თავის ძმობილსა.
☆ თათარო, შენი ჭირიმე, თუ ჩემი ძმა იქნებიო.
☆ კარგი ამხანაგობა — კარგი ძმობის დარიაო.
☆ კარზე მოსულსა ნუ გააბრუნებ, თუ გინდა სახლში მარილის მეტი არ გქონდესო.
☆ მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.
☆ მტერს მტრულად დაუხვდი, მოყვარეს მოყვრულადაო.
☆ სტუმარი მოვა და წავა, სახლსა ბარაქა დარჩება.
☆ ხე ფესვითა დგას და ადამიანი მოყვრითაო.
☆ ძმა რომ ძმას გაიყრება, მაშინ მტერი გაუჩნდება.
☆ კაცი სანთელსავით უნდა იყოს, სხვასაც უნათებდესო.
☆ კაცი კაცითო და ღობე სარითო.
☆ შენი კარები გააღე და სხვისაც ღია დაგხვდებაო.
☆ ძმა თუ არ გყავდეს სხვა იძმე, უძმოდ სიცოცხლე მწარეა.
☆ ყველა ტყუის, ამხანაგობა კი არა.
☆ ადამიანი ადამიანის მალამოა.
☆ ამხანაგი ნუ გძულსო, ნაშოვარი ნუ გშურსო.
☆ ახალი მეგობარი შეიძინე, ძველს ნუ დაივიწყებო.
☆ ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.
☆ ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.
☆ თუ გულით გიყვარს მოყვარე, შორი და ახლო სწორიაო.
☆ თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგადა ხარო.
☆ ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.
☆ ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო.

მხატვრული თვითმოქმედება ავღენს ზაღანფებს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ქართულმა მხატვრულმა თვითმოქმედებამ დაიმკვიდრა შესანიშნავი ტრადიცია — მხატვრული თვითმოქმედების ზეიმი, მისი საუკეთესო ნიმუშების გამოტანა ხალხის ფართო მასების წინაშე, ოლიმპიადები და დათვალიერებები. ისინი ნათლად ცხადყოფენ ხალხური შემოქმედების სწრაფ ზრდას. თუ 1927 წელს ქუთაისში გამართულ პირველ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე 23 თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი და 1.200 შემსრულებელი გვყავდა, 1954 წელს ჩატარებულ მერვე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში 324 კოლექტივი და 8.089 შემსრულებელი მონაწილეობდა.

ხალხური შემოქმედების განუწყვეტელი ზრდა და აყვავება საბჭოთა ხალხის მზარდი კეთილდღეობის მკაფიო გამოხატულებაა.

საბჭოთა ადამიანებს: მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, სტუდენტებს ერთი მისწრაფება ასულდგმულებთ. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ნორჩ პიონერ ნანა გვასალიას გვერდით თოვლივით თეთრ წვერულვაშიან 118 წლის მოხუც მწყემსს ოსმან ჯენიას ვხედავთ, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მოწინავე მუშის სამსონ რუხაძის საკუთარ ლექსებს ვისმენთ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ პანტელეიმონ ბერაძის მგზნებარე მონოლოგები გვიტაცებს, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ შოთა გაბელაიას მიერ ოსტატობით შესრულებული სიმღერები გვატკბობს. ხალხური შემოქმედება ერთნაირად უხდება დიდსა და პატარას. მისი სიყვარული ასაზრდოებს მხცოვან, მაგრამ ენერგიით აღსავსე აკადემიკოს კირიაკ ზავრიევს. იგი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში მხატვრული თვითმოქმედების სული და გულია.

მხატვრული თვითმოქმედება პროფესიული ხელოვნების კადრებით შევსების უმდიდრესი წყაროა. ბევრმა ცნობილმა ქართველმა ხელოვანმა მხატვრულ თვითმოქმედებაში აიდგა ფეხი.

ჩვენი თეატრის მშვენება ა. ხორავა, შექსპირის ოტელოს როლის საუკეთესო შემსრულებელი, ერთ დროს ძველი სენაკის სცენის მოყვარე იყო. გამოჩენილი ქართველი მსახიობი ვ. გოძიაშვილი ხალხური შემოქმედებიდან მოდის. პლეხანოვის სახელობის კლუბის ქართულ თეატრალურ კოლექტივში აღიზარდა იმხანად ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი, მსახიობი ნიკოლოზ მოსეშვილი. ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ უნივერსიტეტის პატარა დარბაზში გაბსმოდა ამჟამად თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის ნ. ანდღულაძის მომხიბვლელი ხმა, ადრეც ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლის, ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტის რეჟისორ დიმიტრი ალექსიძის სასკოლო სპექტაკლებს. ნუთუ ასე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ბავშვთა ოლიმპიადებზე ოცდამეხუთე სკოლის თვითმოქმედი გუნდი გამოჰყავდა ამჟამად ცნობილ კომპოზიტორს, მაშინ კი მოსწავლე შოთა მილორავას. განა თვითმოქმედებას არ ეზიარნენ ჩვენი ცნობილი ხელოვანები — კომპოზიტორები შ. მშველიძე და გრ. კოკელაძე, მომღერლები ს. ინაშვილი და გ. გეგეჭაძე, ქორეოგრაფები ნ. რამიშვილი, ი. სუხიშვილი, ჯ. ბაგრატიონი, ბ. დარახველიძე, მ. შუბაშიკელი, მ. ბახტაძე, ე. ხაბაძე, ლოტბარები მ.. თარხნიშვილი, ს. გველესიანი, მ. არჯევანიშვილი, ს. ბაქრაძე და მრავალი სხვა.

ბევრი მათგანი დღეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტია.

ხალხური შემოქმედება ჩვენი ხელოვნების მასაზრდოებელი უღელელი საუნჯეა. იგი მუდამ ავლენდა და კვლავ გამოავლენს ტალანტებს ჩვენი დიადი ქართული საბჭოთა ხელოვნების ასამაღლებლად.

მ. ჩირინაშვილი,
ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ჩვენი ოჯახი ძმეგით არის მდიდარი

მომხიბლავი ედემი, საქართველოს მთა და ბარი ხალხური შემოქმედების წყაროა, მისი მადლი გარდა ქართულისა მრავალეროვან ხალხურ ხელოვნებასაც ასაზრდოებს.

ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო ვითარდება მრავალეროვანი ხალხური შემოქმედება. რომელი მხატვრული კოლექტივები დავასახელოთ: ბათუმელ მენავთობეთა რუსული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თბილისის შამპანურის კომბინატის უკრაინული თეატრალური დასი, რესპუბლიკაში არსებული ოს, სომეხ, აზერბაიჯანელ მომღერალთა და მოცეკვავეთა თვითმოქმედ კოლექტივები...

პლეხანოვის პროსპექტი, რკინიგზის მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის ხალხმრავალი დარბაზი. დარბაზში სიჩუმეა, სინათლე ქრება, ნაზიმ ჰიქმეთის „ლეგენდას სიყვარულზე“ წარმოადგენენ თბილისის რკინიგზის კვანძის კლუბთან მომუშავე ასირიელი სცენისმოყვარეები.

რესპუბლიკური ოლიმპიადები! გვინახავს, გვახსოვს ბერძენი ინდივიდუალური შემსრულებლები, მომღერლები, დამკვრელები, მოცეკვავეები ახალციხის რაიონიდან, თბილისის კალინინის რაიონში მცხოვრებ იეზიდთაგან შემდგარი ქორეოგრაფიული ჯგუფის ხალხური ცეკვები...

სცენაზე ორიან ესპანელები. მღერიან ლუის ფერნანდესი და დარიო სუარესი. მათ ჯერ კიდევ პატარებმა დატოვეს ფრანკოს მიერ გათელილი ესპანეთი. საბჭოთა კავშირი გახდა ლტოლვილებისათვის მეორე სამშობლო. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ბევრი ესპანელი ჭაბუკი და ქალიშვილი მუშაობს, ისინი თავიანთ ხალხურ შემოქმედებას არ ივიწყებენ.

აფხაზეთში ესტონელთა მთელი დასახლებაა. მთ ჰყავთ მომღერალ ქალ-ვაჟთა შესანიშნავი გუნდი, რომელიც სისტემატურად მიემგზავრება ტალინში, როცა იქ სიმღერის ტრადიციული დღესასწაული იმართება.

საქართველოს მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკური სახლი სათავეში უდგას ჩვენს რესპუბლიკაში მრავალეროვანი ხალხური შემოქმედების განვითარების კეთილშობილურ საქმეს.

ქართველი ხალხური შემოქმედნი სიყვარულით სწავლობენ სხვა ეროვნებათა შემოქმედების ნიმუშებს. ამის წინათ ორჯონიკიძის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მიწვეული იყო ქალაქ ლვოვში გამართულ „მეგობრობის დღესასწაულზე“. მის გამოსვლებს დიდი მოწონება ხვდა. მასპინძლები განსაკუთრებით აღტაცებაში მოდიოდნენ, როცა ქართველი სტუმრები ჯერ უკრაინულ, ხოლო შემდეგ მშობლიურ ენაზე ასრულებდნენ „სიმღერას დნეპრზე“, ურალურ „რიაბინუშკას“.

გ. ციხაარიძე.

ᲛᲔᲡᲢᲕᲘᲠᲔ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ოლიმპიადებსა და დათვალიერებებზე, სადაც ყოველთვის საპატიო ადგილს იჭერდნენ.

ხალხური ოსტატები დღეს განსაკუთრებით საპატიო ამოცანის წინაშე დგანან. მათ თავიანთი ხელოვნება უნდა უჩვენონ მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალ დეკადაზე — სახვითი ხელოვნების გამოფენაზე.

საქართველოში ძველთაგანვე იქარგებოდა: ტანსაცმელი, სუფრები, ფარდები, სხვადასხვა საფენები, ბალიშები, მუთაქები, ბოხჩები და სხვა საყოფაცხოვრებო საგნები.

ეს ტრადიცია დღევანდლამდე შემორჩა. მაღალი გემოვნებით არის დამზადებული ვ. ზიარელაშვილის მიერ ოქრომკედით შავ ხავერდზე ამოქარგული ქართული კაბის სარტყელი და გულისპირი. დ. მამადაშვილის, მ. ცხომელიძის, თ. გოგუას, ე. სამუნჯიანის დორები, ბალიშის პირები და ბოხჩები მხატვრული დახვეწილობით და კარგი ტექნიკური შესრულებით გამოირჩევა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის (თუშეთი, ფშავი, კახეთი, მთიულეთი, ხევი და სხვ.) დამახასიათებელია ხალიჩების, ფარდაგების, ხურჯინების, ყაჯრების ქსოვა. სადეკადო გამოფენისათვის შერჩეულია ა. გოდერძიშვილის აბრეშუმის ხალიჩა და დ. მამადაშვილის ნაქსოვი პატარა ხურჯინები (ქისები).

ქართველობა ძველთაგანვე კანთქმულია ჭედურობის ხელოვნებით. ჩვენში გავრცელებული იყო ლითონის მხატვრულად დამუშავების ისეთი სახეობანი, როგორიც არის გრეხილური, სევადა, ზარნიში, გრავიურა და სხვ.

იოანე ხუცესის, ბექა და ბეშქენ ოპიზრების მაღლიანი ხელოვნების სახელოვან ტრადიციას საუკუნიდან საუკუნემდე აგრძელებდნენ, თაობიდან თაობას გადასცემდნენ შესანიშნავი ქართველი ოსტატები.

საინტერესოა სადეკადო გამოფენისათვის განკუთვნილი მამულაიშვილის თასი, ფიალა და ყარყარა, დოსმიშვილის თასი, ხანდამაშვილის ვერცხლის დიდი ლარნაკი, რომელიც გამოირჩევა მეტად ორიგინალური ქართული ჩუქურთმებით. ლარნაკს ამშვენებს ოქროთი და მინანქრით შესრულებული საბჭოთა საქართველოს გერბი. მინანქრითვეა გაკეთებული ჩოხის ქამრის კომპლექტი. ძმების თომა და ამბროსი ჯიქიების ნახელავი სასმისები გრეხილითა და სევადით (ხრიკა, აზარფეშა), ჩარჩოები ილიასა და აკაკის პორტრეტებისათვის, გ. ლეკიშვილის მიერ სევადის ტექნიკით შესრულებული მათი პორტრეტული გამოხატულებანი მეტად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ახალგაზრდა ოსტატ ქალს მ. მაგამედოვას თავის სურაში, ფანდურსა და სამაჯურებში გამოყენებული აქვს ლითონის მხატვრულად დამუშავების მრავალი სახეობა (ჭედურობა, გრეხილური, სევადა, ღრმა გრავიურა, მინანქარი და სხვ.). ლამაზი ჩუქურთმებით და ფორმებით თვალს იტაცებს გ. ანდრიაშვილის სურა, რ. ზუბიაშვილის ლანგარი თავისი ჰიქებით (ჭედურობა) და ოსტატ კ. ქუთათელაძის მოოქროვილი სამაჯური შ. რუსთაველის პორტრეტით.

ხეზე კვეთილობაში თვალსაჩინოა ვ. მგელაძის ლანგარი, ა. ფოჩხუას ლარნაკი და გ. გაბაშვილის დეკორაციული ლარნაკი, რომელიც ინკრუსტირებულია სადაფით.

ერთი შეხედვით თითქოს მეტად უღიმღამო მასალაა საქონლის რქა, მაგრამ სპეციალური დამუშავების შემდეგ მისგან შეიძლება ხელოვნების მოხდენილ ქმნილებათა მიღება. ამ სახეობაში მიმზიდველია მამადაშვილის, ა. და გ. მანუკოვების ნაოსტატარი ლამაზი ყუთები.

ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით რთავს და ალამაზებს მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ამის ნათელი მაგალითია სახალხო მუსიკოს ი. ჭურხულის მიერ რეკონსტრუირებული ჩანგი, რომლის ესკიზი იკუთვნის სახალხო მხატვარ ლ. გუდიაშვილს, ხოლო ტექნიკური შესრულება ვ. ბოტკოველს და გ. გაგნიძეს. ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების მრავალფეროვნებას გვიჩვენებს გ. რუსეიშვილის მიერ შესრულებული ქართული ინსტრუმენტების მინიატურული მოდელების კომპლექტი.

ირ. უზნაძე.

სადეკადო ხალხური ნამუშევრები.

* * *

ქართული არქიტექტურის, ფერწერის, ქანდაკებისა და დეკორაციული გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები ორიგინალურ ნიმუშებად რჩებიან მსოფლიო კულტურის საგანძურში. ქართველები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლითონის მხატვრულ დამუშავებაში, ხელსაქმეში, კერამიკაში, ქვაზე, ხეზე, ძვალზე კვეთილობაში და სხვ.

ოქტომბრის შუქით გასხივოსნებული საქართველოს ხალხურ შემოქმედებაში აყვავების ხანა იწყება. 1936 წელს დაარსდა ხალხური შემოქმედების კაბინეტი, რომლის თაოსნობით 1937 წელს მოეწყო ხალხური შემოქმედების პირველი, ხოლო 1941 წელს მეორე რესპუბლიკური გამოფენა.

ქართველი ოსტატების სახელი შორს არის განთქმული: მათ მონაწილეობა მიუღიათ საერთაშორისო გამოფენებზე პარიზში, ნიუ-იორკში, პრაღაში, საკავშირო და რესპუბლიკურ

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ

„ვეფხისტყაოსანში“ ქართველი ხალხის უკვდავება სწერია. ამიტომაც საუკუნეების მანძილზე სდევნიდნენ მას ქართველი ხალხის შინაური თუ გარეშე მტრები. სწვავდნენ, ხევდნენ, ანადგურებდნენ, მაგრამ ერის ამ ფასდაუდებელ განძს მფარველობდა ხალხი, ის იყო მისი მოსარჩლე და პატრონი. ხელიდან ხელშია წიგნი ნაგოგმანები, ათასჯერ არის განმეორებული, და რომ გაცრეცილ ეტრატთან ერთად არ დაკარგულიყო უდიდესი პოეზია, ხალხი თავიდან ბოლომდე იზეპირებდა პოემას, რომ უნაკლოდ ჩაებარებინა იგი შთამომავლობისათვის. ამიტომაც გასაკვირველი როდია, რომ ჩვენი ეპოქის კარამდე მოაწია გაუხუნებელმა სიბრძნემ და დაუბერებელი სიყვარულის ლამაზმა მითმა. ვისაც მარად მფარველობს უკვდავი სული ხალხისა, მას ვერას ავნებს რკინა, ცეცხლი, უამთავლელის ქარტეხილები.

პოეზიისადმი ქართველი ხალხის ამგვარი თავდავიწყებული სიყვარულის ცოცხალი მაგალითია თუნდაც ერთი უბრალო ყარაღაჯელი გლეხის ბიჭი, მხატვრული კითხვის ხალხური ტალანტი ვალერიან ქვრივიშვილი. მან, ფიზკულტურული ტექნიკუმის კურსდამთავრებულმა, საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდამ სამხედრო სამსახურის დროს შეისრულა ყრმობისდროინდელი საწადელი — თავიდან ბოლომდე ზეპირად შეისწავლა რუსთაველის უბადლო ქმნილება. მან შეისისხლხორცა აგრეთვე ვაჟას, ილიას, აკაკის პოემები.

უსმენთ ჭაბუკს და გაჯერათ, რომ ეს უბრალო ქართველი არის რუსთაველისა და ვაჟას, ილიასა და აკაკის უკვდავების დასტური.

ტ. პატარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის წინ

ხალხი ძველთაგანვე უმღერიდა ძმობას, მეგობრობას, სიყვარულს

ნის ფანტაზიის, გრძნობის, ლტოლვის, ფიქრის, ჩვევის, ბრძოლისა თუ არსებობის სურათები. შრომის დროს შექმნა კაცმა რიტმი, სიმღერა, ცეკვა, მუსიკა, ლირიკული ლექსი, გამოცანა, იგავ-არაკი. ცხოვრებამ უკარნახა მას ანდაზა, ქარაგმა, მოსწრებული თქმა.

რა სახის ხელოვნებაც უნდა ავიღოთ, მისი ძირი ხალხურობაა, ქართული კულტურის სათავე ხალხურ შემოქმედებაშია.

ჩვენი ლიტერატურის ყველა მწვერვალი ხალხური პოეზიის ნიადაგზე დგას. დიდებული რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, აკაზეგი, ვაჟა, ილია თუ აკაკი, შინო არაგვისპირელი თუ ვასილ ბარნოვი ხალხური სიბრძნით იყვნენ შთაგონებულნი.

ქართულ ფოლკლორს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები ამშვენებს: „თქმულება ამირანზე", „ამბავი ვეფხისა და მოყმისა", „თაფარავნელი ჭაბუკი", „ეთერიანი" და სხვანი. ახლა ჩვენი სიმღერები ან ცეკვები აიღეთ: „ზამთარიო", „ჩაკრულო", „ლილე", „ხასანბეგურა", „მუმლი მუხასა", ნარნარი „ქართული" თუ „სამაია", მეწყვრივით მოვარდნილი „მთიულური" თუ ბრძოლის ქარცეცხლიანი „ხორუმი".

ქართული საბჭოთა ხალხური შემოქმედება განვითარების ახალ საფეხურზეა. მით უფრო მეტი საფუძველი ექმნება ქართული კულტურის ამაღლებას.

ალორძინებული მიწის სიმღერა

ხალხური შემოქმედება ისტორიის თანამგზავრიაო, ამბობენ. უფრო მეტიც, იგი ხალხის ოცნებისა და მისწრაფებების ცოცხალი მატიანეა; ძნელია გამონახოს კაცმა ერის ცხოვრებაში მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ხალხურ სიტყვიერებას არ აესახოს. ერის ვარამი თვით ხალხს უგლოვია, ერის სიხარულსაც თვით ხალხი უმღერის. ამის ნათელი დადასტურებაა „სამგორული ფოლკლორი".

სამგორის უდაბური ველი ადრევე იპყრობდა ქართველი ხალხის ყურადღებას. მრავალრიცხოვან თქმულებებსა და ლეგენდებში ჩაქსოვილა ხალხის ნაფიქრი და ნაზრევი, მისი სწრაფვა — ახსნას ოდესღაც აყვავებული მიწის გაუდაბურების მიზეზი. მათი დიდი ნაწილი სამგორის ველის გაჩანაგების მიზეზს უცხოელ დამპყრობთა შემოსევას მიაწერს. ზოგი მათგანი ამას სოციალური უთანასწორობის, ხალხის დაბეჩავებისა და უუფლებობის შედეგად მიიჩნევს.

ქართულ ხალხურ ლექსებში ასახულია ის სიდუხჭირე, რომელსაც განიცდიდნენ სამგორის მკვიდრნი. საუკუნეების მანძილზე უწყლობით გადამხმარი და გადარუჯული მინდორ - ველის მოუსავლიანობაზე არის ნათქვამი:

„არსად ბუჩქები არ ხარობს,
არსად არა ჩანს ტყეები,
უწყლობით გადამხმარია
სამგორის დიდი ველები".

ასე ნაღვლიანად მღეროდა ოდესღაც ხალხი თავის დუხჭირ ცხოვრებაზე. ხალხი ხელს არ აკლებდა სამგორის მიწას — ურწყავი ველი კი ნაყოფს არ იძლეოდა.

მაგრამ გავიდა დრო, და უდაბური სამგორის ველი ახალი სოციალისტური მშენებლობის მძლავრ კერად იქცა. ხორცი შეისხა ქართველი ხალხის დიდი ხნის სანუკვარმა ოცნებამ — სამგორს დაუბრუნდა სიცოცხლე, კვლავ აყვავდა იგი!

და ხალხმა სულ სხვა ჰანგზე მომართა თავისი ჩანგი. მისმა შემოქმედებამ აღფრთოვანებით უმღერა სამგორის მომავალს:

„შემოგეხვევა ტყეები,
დაგატკბობს ფოთლის შრიალი,
მიწას დახატავ ლამაზად —
ბალიან-ვენახიანი,
ყანებ დაიწყებს ღელვასა —
ღალიან-ბარაქიანი".

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობით გამოწვეული სიხარული და აღტაცება შესანიშნავად გამოხატა ლილოელმა სახალხო მთქმელმა გიორგი გაბარაშვილმა:

„სამგორის ველო, თვალგაუწვდენო,
შენ მახალისებ, მიტომ ვმღერო.
ხალხთ სოცენებო და სანატელო,
შენს ხვეულ არხებს თვალითა
ვმზერო.
ბუნების ძალით შექმნილო მდელო,
ქართველთ სისხლისგან მორწყულო
ველო,
ირან-თურქისგან ნატანჯო ერო,
აღსდექით მკვდრეთით, მამავ და
ძენო!..
ისტორიაში ცნობილო, ლილო,
ვახუშტის თქმებში შიგ ჩაწერილო,
ქარიანი ხარ, მოსავლით ძვირო,
მაინც ტკბილი ხარ საშვილიშვილო.
დღეს ჯერი არის, რომ მოვილხინო,
სამგორიც ჰყვავის, ნარინჯთ-
ყვავილო,
ქვეყანავ ტკბილო, სიცოცხლევ ძვირო,
რქაწითელს ჩავყრი — მომიგა
ღვინო!.."

და აი ასრულდა ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება—ივრის წყალი სიცოცხლედ ჩაუდგა ძარღვებში ოდესღაც უდაბურ სამგორის ველს. ლილოელ სახალხო მთქმელსაც აუხდა ნანატრი, დღეს იგი სიხარულით აღსავსე სტრიქონებს მიუძღვნის ბედნიერ აწმყოს:

„ვენახს გაშენებთ — შასლას,
რქაწითელს,
ბეგრი გვექნება ბუდეშტრები.
მტკაცე ომდით და გარჯა-შრომით
კომუნიზმისკენ მივეშურებით."

თუ ძველი თქმულებები და ლეგენდები სამგორის გაუდაბურებას ხალხთა შორის მტრობას და უცხოელ ურდოთა შემოსევას მიაწერდნენ, ახალი ხალხური სიტყვიერება სამგორის განახლებას ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის, ჩვენს ქვეყანაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შედეგად მიიჩნევს. და ეს ბუნებრივიც არის, რადგან სამგორის მშენებლობა საერთო, სახალხო მშენებლობა იყო. საბჭოთა ქვეყნის მრავალი ეროვნების წარმომადგენელი შრომობდა ახალი სამგორისათვის. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი ებრძოდნენ გვალვასა და მოუსავლიანობას. სამგორის მშენებელი ქართველი დღესაც მადლობის გრძნობით იგონებს რუს ვ. ფილიპოვს, აზერბაიჯანელ ქ. სეიდოვს, სომეხ ა. შაღინიანს და მათ თანამოძმეებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ საერთო-სახალხო საქმეში.

სამგორში ჩამოსახლებული 70 წლის ხევსური, სახალხო მელექსე ბესარიონ გაბური აღფრთოვანებით უმღერის ხალხთა მეგობრობასა და განახლებულ სამგორის ველს:

„... გაჩაღდა შრომა მედგარი
ბელენ-მუშის სულის მდგმელია,
მინდორთ ამწვანდა ჯეჯილი,
საცქერად სანატრელია.
დამბმარე რაზმი მოვიდა,
შრომას მოკიდა ხელია,
რუსი, თათარი, სომეხი,
ამერელ-იმერელია,
გზის პირს ჩაყარეს ნამყენ
ხეთილი სასურველია...
აწ ნახეთ დიდი სამგორი,
აღარა უწინდელია"...

ასე უმღერის დღეს ქართველი ხალხი მკვდრეთიდან აღმდგარ სამგორს, მის აწმყოსა და კიდევ უკეთეს მომავალს, ხალხთა შორის ძმობასა და მეგობრობას, რომელიც ასე ნათლად გამოვლინდა სამგორის განახლებისათვის შრომის სახელოვან დღეებში.

რ. დოღონაძე.

«შილდაში მღერის დედას ლევანა...»

ქართულ ხალხურ მუსიკას დიდი ისტორია აქვს, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდებოდა, იხვეწებოდა, ამ საქმის მცოდნეთა და ოსტატ-შემსრულებელთა საშუალებით თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მადლმოსილმა ადამიანებმა, გამოჩენილმა ლოტბარებმა თუ ოსტატ-შემსრულებლებმა: დედას ლევანამ, ძუკუ ლოლუამ, სანდრო და მიხეილ კავსაძეებმა, ანტონ დუმბაძემ, სამეულ ჩავლეიშვილმა, ალექსანდრე მახარაძემ, ვარლამ სამონიშვილმა, რემა შელეგიამ, პორფილე გაბელიამ, ივანე ჩამახიამ, ლამინ გუგუშვილმა, პეხა ჯიღაურმა, ავქსენტი მეგრელიძემ, ეკატერინე თარხნიშვილმა, კირილე პაჭკორიამ, ბეგლარ აკობიამ, ნოკო ხურციამ, გალაქტიონ ჭელიძემ, იროდი კალანდიამ, ევგენი კოროშინაძემ, გიორგი ვარდიაშვილმა, პარმენ მიქაძემ და მამმა სახელოვანმა წინაპრებმა გადაარჩინეს, თაობიდან-თაობას შემოუნახეს ხალხური მარგალიტები. ძუკუ ლოლუას მშვენიერი ხმა და შესანიშნავი მუსიკალური სმენა ჰქონდა. მან ხალხურ კილოკავებზე შექმნა რამდენიმე საუკეთესო სიმღერა: — „მა დო ჩქიმი არ აბა", — „ართი ვარდი", — „მახა", „ერეხელი" და სხვები, რომელნიც სწრაფად გადაიტანა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა ქართველობამ.

ასევე უნდა ითქვას სანდრო კავსაძეზე, ვარლამ სამონიშვილზე, რემა შელეგიაზე, ავქსენტი მეგრელიძეზე, ბეგლარ აკობიაზე, გალაქტიონ ჭელიძეზე და ნოკო ხურციაზე, რომლებმაც ხალხური სიმღერების შესრულების ოსტატობასთან ერთად შექმნეს და დაგვიტოვეს მრავალი საკუთარი სიმღერა, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ერს.

არ შეიძლება აქვე არ მოვიგონოთ ვარინკა წერეთელი, რომელმაც შექმნა პოპულარული სიმღერა „სულიკო".

საზოგადოების წინაშე ღვაწლმოსილთა შორის არიან აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტი მარო თარხნიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ძმები არტემ, ნინო და ვლადიმერ ერქომაშვილები, კ. გეგეჭკორი, მ. ხავთასი, ვ. ბერძენიშვილი, ვ. გოგოტიძე, ი. მჭედლიშვილი და სხვები.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ნამდვილად და განვითარდა ქართული მხატვრული თვითმოქმედება, გამოვლინდნენ საუკეთესო შემსრულებლები და თვითმოქმედი კომპოზიტორები. მათ შორის აღსანიშნავი არიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: ი. აბაშიძე, ა. ქარსელაძე, ს. ბაქრაძე, ვ. მახარაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. წულაძე, ფ. მახათელაშვილი და გ. პაპალაშვილი, ლოტბარები: ბ. კუხიანიძე, ე. სიხარულიძე, ბ. ლოლობერიძე, დ. ჭკუასელი, ზ. კირვალაძე, ვ. ჭუმბურიძე, გ. პლეევი, გ. ბუღაძე, ნ. ხვიტია, ნ. ვეფხვაძე, ა. ჩიჩბა, ი. ქორთუა, ი. თავბერიძე, ა. ხარებავა, ტ. ხუხუა, თამარ და ნიკოლოზ კაკაჩიები, ი. ლაკერბაია, ვ. სადრაძე, თ. ნიკვლიშვილი, ქ. ლოლობერიძე, ნ. ცინცაძე, ო. დიხამინჯია, ვ. კერესელიძე...

ჩვენი საზოგადოების მატერიალური და კულტურული ზრდა და განვითარება დიდ საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებს როგორც პროფესიული ხელოვნების, აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედების წინაშე.

ცხადია, კვლავ დაიზრდებიან ნიჭიერი ხალხური კომპოზიტორები, ოსტატ-შემსრულებლები. ეს არის ხალხური შემოქმედების უკვდავება, ისევ და ისევ იტყვიან ტიციან ტაბიძის ლექსს: „შილდაში მღერის დედას ლევანა..."

დედას ლევანას ჰყავს ღირსეული შთამომავლები.

კომპოზიტორი გრ. კოკელაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ჩვენი თეატრის საწყისები

ყოველივე, რაც ხელოვნებაში ღრმა შინაარსით, მაღალზნეობრივი მისწრაფებით, მშვენიერებით და სწორუპოვრობით არის მადლმოსილი, აღმოცენებულია ხალხური შემოქმედების ნიადაგიდან. ყოველი დროის მოწინავე ოსტატი ხალხურში პოულობდა შთაგონების წყაროს, ხელოსანი თემებს და უზადო მასალას.

ჩვენს ქართულ სანახაობათა შორის მახვილი სატირიკული მიმართებით გამოირჩეოდა ხალხური ნიღბების სამპროვიზაციო თეატრი — ბერიკაობა. ამ თეატრის მსახიობები — ბერიკაები, მრავალი თაობის მიერ დამუშავებული და თაობიდან თაობისათვის ზეპირი გადმოცემით შემონახული სცენარების მიხედვით ქმნიდნენ სპექტაკლებს. დღემდე ჩაწერილია ბერიკული წარმოდგენების ასზე მეტი სცენარი. ყოველ სიუჟეტს მეტნაკლებობით შემონახული აქვს წარმართული ხანის დანაშრეკი: განაყოფიერების ძალის (ტახის ნიღაბი) ჯერ სიკვდილი, მისი დატირება და შემდეგ მისი აღდგომა-გაცოცხლება, რაც ჩვეულებრივად ცეკვა-თამაშით მთავრდება, ამასთან ერთად წარმოადგენდნენ საქორწილო სცენებს. დროთა ვითარებაში ბერიკაობამ დაკარგა საკულტო-რელიგიური დანიშნულება, იგი ხალხის ცხოვრების ამსახველ თეატრად განვითარდა. სალაშქრო შინაარსის ბერიკაობაში დამპყრობელთა წინააღმდეგ ხალხის გმირული ბრძოლის თემა დამკვიდრდა („თათრების შემოსევა", „დარბევა", „ფშაველების ამბოხება"). ბერიკაათა ბევრი სცენარი ეკლესიის მსახურთა ანგარებას ამხილებდა („ალავერდობა"; „მამაო ჩვენო", „ანდერძი"); ბერიკაები გაბედულად გამოდიოდნენ ბატონყმური ჩაგვრისა და ცარიზმის უსამართლობის წინააღმდეგ („ყმის გაყიდვა", „ბატონის დატირება", „მრუდი სამართალი", „აზნაურის მამალი", „თავადი ფავლენიშვილი").

ძველ ქართველ ბერიკაათაგან განსაკუთრებით ცნობილი იყო ოთარ ნორელი (XVIII საუკ. ბოლო მეოთხედი). ოთარი თავის საბერიკო ხელოვნების დანიშნულებას უსამართლობის მხილებასა და თავადებისაგან შეწუხებულთა შველაში ხედავდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს გარეთაც სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ოჩიფეხებზე მოთამაშე ბერიკას აბელ რევაზიშვილს, რომლის სახე კოტე მარჯანიშვილმა გააცოცხლა ერთ-ერთ თავის დადგმაში („მზის დაბნელება").

მასობრივ, საზეიმო მსვლელობის სანახაობათაგან უნდა დავასახელოთ ყეენობა და მალანურობა. წარმართული მითოლოგიის წიაღიდან გამოსული ეს სანახაობანი დროთა ვითარებაში საერო-სახალხო წარმოდგენებად იქცნენ და ფეოდალების ურთიერთ ქიშპობის, ტყვეების გაყიდვისა და მტარვალ დამპყრობლების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ყეენობა შეიცავდა ყეენის მოკაზმვის, დაპყრობილი ქალაქის თუ სოფლის დარბევის, ამბოხებული ქართველების ბრძოლის და დამარცხებულ ყეენის მდინარეში გადაგდების წარმომსახველ სცენებს, ორი საზეიმო მსვლელობით. მეფის მთავრობამ ყეენობა რამდენჯერმე აკრძალა, მაგრამ მას ხალხი მაინც ინარჩუნებდა, იგი განაგრძობდა ცარიზმის მამხილებელი სცენების წარმოდგენას. საყეენო მსვლელობაში დაატარებდნენ „სარჩობელებს" „ჩამორჩობილთა" გამომსახველი თოჯინებით, მოჰყავდათ ბორკილშეყრილი ტუსაღები. 1897 წელს ყაზბეგში გამართულ ყეენობაში წარმოადგინეს მეფეზე რევოლუციონერების თავდასხმა, რევოლუციონერის დაპატიმრება და გასამართლება. 1905 წელს სოფელ კაცხში ყეენობის მონაწილენი თავს დაესხნენ ქანცელარიას, პოლიციის საბუთები და მეფის სურათი გარეთ გამოიტანეს და საჯაროდ დაწვეს. ამავე წელს თელავში ყეენობას თავს დაესხა პოლიციელთა რაზმი. ყეენობა დაშალეს და ზოგიერთი მონაწილე დააპატიმრეს. საღამოს ისევ გაიმართა მსვლელობა. ყეენობის მონაწილენი თავს დაესხნენ ციხეს და დაპატიმრებული ამხანაგები გაათავისუფლეს. პირველი რევოლუციის წლებში ყეენობა რევოლუციურ დემონსტრაციად გადაიზარდა.

ასეთია ხალხური შემოქმედების სახელოვანი წარსული. დეკადა, რომელიც მალე გაიხსნება მოსკოვში, ნათლად გვიჩვენებს როგორ აყვავდა ხალხური სანახაობრივი შემოქმედება, რა თავანკარა შთაგონების წყაროს წარმოადგენს იგი ქართული პროფესიული ხელოვნებისათვის, რაოდენ ღრმა, ძლიერია და ლამაზია ხელოვნება, რომელიც ხალხური შემოქმედებით საზრდოობს.

დიმიტრი ჯანელიძე.

რუსული სიბრძნე მეგობრობაზე

★ **Доброе братство лучше богатства.**
★ **Одна пчела не много меду натаскает.**
★ **Одной рукой узла не завяжешь.**
★ **Одному ехать — и дорога долга.**
★ **Один в поле не воин.**
★ **Два одному — рать.**
★ **Веника не сломишь, а прутья по одному все переломишь.**
★ **Согласному стаду волк не страшен.**
★ **Все за одного, один за всех.**
★ **Берись дружно, не будет грузно.**
★ **По капле дождь, дождь реки поит, реками море стоит.**
★ **Полено к полену — костер.**
★ **Мир охнет — лес сохнет.**
★ **Не мил и свет, когда друга нет.**
★ **Не имей сто рублей, а имей сто друзей.**
★ **Друг денег дороже.**
★ **Вдруг не станешь друг.**
★ **Для друга и семь верст не околица.**
★ **Чего себе не хочешь, того другу не желай.**
★ **Коня в рати узнаешь, друга в беде.**
★ **Друзья прямые — что братья родные.**
★ **Друга ищи, а найдешь — береги.**
★ **Новых друзей наживай, а старых не теряй.**
★ **«Где был?» — «У друга». — «Что пил?» — «Воду, да лучше неприятельского меду».**

ქართული ზღაპრები იტალიიდან

900-იან წლებში ცნობილმა ისტორიკოსმა მიქელ თამარაშვილმა XVII საუკუნის მისიონერის ბერნარდე ნეაპოლელის არქივში ქართული კულტურის ისტორიისათვის საინტერესო მასალებს მიაკვლია. სხვათა შორის, მ. თამარაშვილის აღწერილობაში ვკითხულობთ: „ქართული ზღაპრები პატარა წიგნია და შეიცავს 10 ზღაპარს". პირველი ორი მოთხრობის პირი თამარაშვილს გადმოუწერია და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. მთლიანი კრებულის შინაარსი კი დღემდე უცნობი იყო.

ამას წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ნეაპოლის ცენტრალური ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიიღო აღნიშნული კრებულის მიკროფილმი. ამ უკანასკნელის მიხედვით დამზადებული ფოტოპირები შესასწავლად გადაეცა ქართული ფოლკლორის ისტორიკოს პროფესორ მ. ჩიქოვანს. წინასწარმა დაკვირვებამ უჩვენა, რომ ანთოლოგიაში არა 10, არამედ 12 ხალხური მოთხრობაა მოთავსებული და სიუჟეტების უმრავლესობას ამჟამადაც მოეპოვება ვარიანტები.

პროფესორმა მ. ჩიქოვანმა განაცხადა, რომ ასე დიდი რაოდენობით წმინდა ხალხური ზღაპრების XVII საუკუნის ჩანაწერები იშვიათია მსოფლიო ფოლკლორისტიკაში. იტალიიდან მიღებული ტექსტები მნიშვნელოვანია აგრეთვე ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით. „ქართული ზღაპრებს" ეს მეტად საინტერესო კრებული სათანადო გამოკვლევითა და კომენტარებით გამოქვეყნდება მომავალ წელს.

გ. კეთილაძე.

მეშახტის სიმღერა მშვიდობაზე

სამშობლოს ცაო ნათელო, სულში რომ დნები ხასხასით,
მინდა გიმღერო შაირი ასი და კიდევ ათასი,
შენი კაშკაში მალაღებს და მდელოების შრიალი,
წყვდიადს რომ ცეცხლი შეუნთე და გადაბუგე ტიალი.

მთებს რომ ნათელი დაადგი, ვერ ვძღები მათი ცქერითა,
მწვანე მთებს კალთებს უვარცხნის სიო საამო ფრთებითა.
ამ მთის კალთაზე ნაცნობი შახტის თვალი რომ მიცქერის,
მოდის და მოდის დოვლათი შავი ოქროს და გიშერის.

შახტის ქონგურზე დროშა ჩანს, როგორც ყაყაჩო მაისის,
და შორს ვეება მთის გულშიც მშვიდობის ჰანგი გაისმის.
მშვიდობა გრგვინავს შახტიდან, გალმა-გამოღმა ხევებშიც
მშვიდობის ვახტზე დამდგარან მთებიც, ლურჯთვალა მდევები.

მშვიდობის საქმეს ვდარაჯობთ თმაჭაღარაც და ჭაბუკიც,
არ გვინდა ომი, არ გვინდა ტყვიის და ცეცხლის ქარბუქი.
ეს მზე კაშკაშებს თუ მართლა ფირუზში ოქროს ჩქერია!
გულო, ასეთი ხალისით არასდროს არ გიმღერია.
გულო, ვიმღეროთ შაირი ასი და კიდევ ათასი,
რადგან ცხოვრების ჯზა ბრწყინავს და მზესაც გააქვს ხასხასი.

მთქმელი 78 წლის ყოფილი მეშახტე, ამჟამად პენსიონერი
პეტრე ლეთოლდიანი.

ხალხური ხელოვნების სიამაყე

ქართული ქორეოგრაფია ხალხურია უკვე იმიტომ, რომ მან საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა ეროვნული თავისებურება და განუმეორებელი კოლორიტი. თვალს რომ ვავლებთ ჩვენი ქორეოგრაფიის უმდიდრეს წარსულს, პირველ რიგში გვახსენდება „ფერხული". ეს პირველი ქართული მასობრივი ცეკვაა. შორეულ წარსულში ამ ცეკვაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ასეული კაცი, რომელსაც აერთიანებდა ერთიანი ნება. აქედან წარმოდგება „ფერხულის" საცეკვაო რიტმი, რომელიც დასაწყისში ნელი, თითქოს ნიადაგის მოსასინჯი უნდა იყოს. ადამიანები ხომ თანდათანობით იკრიბებოდნენ, აუჩქარებლად აღებდნენ ერთმანეთს ხელს მხარზე, თითქოს ურთიერთისადმი ნდობის, მეგობრობისა და შეკავშირების ნიშნად. და იწყებოდა ცეკვა, რომლის მონაწილენი თანდათანობით ამყარებდნენ საერთო რიტმს და გადადიოდნენ სწრაფ ტემპზე.

ანდა ავიღოთ თავისი გაფორმებით უაღრესად საინტერესო ორ და სამსართულიანი „ფერხული-ორსართული" ანუ „ზემყრელო", თავისებური მოცეკვავე პირამიდა, სადაც მოცეკვავეთა მხრებზე დგება მეორე რიგი, ხოლო მეორე რიგის მხრებზე — მესამე რიგი. ამ ფერხულს საქართველოში ყველგან ვხვდებით — სვანეთში „მირმინკელას", თუშეთში „ქორბეღელას" სახელწოდებით, ვხვდებით ხევშიც, აჭარაშიც, ქართლშიც და კახეთშიც. თუ გადავფურცლავთ დიდი რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებს და ფანტაზიის ფრთებით გადავფრინდებით შორეულ წარსულში, — დავინახავთ სამ ძმადნაფიც გმირს, რომლებიც მხრებზე აღგანან თავიანთ თანამებრძოლებს, იერიში რომ მიაქვთ ქაჯეთის მიუვალ ციხეზე.

რიტუალური ცეკვები, მიძღვნილი ნაყოფიერების კულტისადმი, ბუნების საწარმოო ძალების კულტისადმი, სვანეთში დღემდე შემონახული „მელია-ტელეფია" ან „წინამძღოლა", აჭარული „ო, ჰოი-ნანო", რომლებიც წინამორბედებია ურბანისტული ხასიათის ცეკვისა „იალის თამაში", — უტყუარი დასტურია ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სიძველისა.

ომის სცენები, უეჭველია, უნდა ასახულიყო ხელოვნებაში, კერძოდ ცეკვებში. „სამხედრო ხასიათის" ცეკვებს შეიძლება მივაკუთვნოთ „ბასტი", რომელიც აწერილი აქვს ბესიკს.

ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს შესანიშნავი ცეკვა „ხორუმი"— იგი ასახავს ძველ ქართველთა საბრძოლო-საგმირო საქმეებს. „ხორუმი" მოსინიკების ის მხედრული ცეკვაა, რომელიც აწერილი აქვს ქსენოფონტეს. ეს ცეკვა ასახულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნის ბრინჯაოს ფიგურებში, რომლებიც გადმოგვცემენ თანამედროვე „ხორუმის" ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ მოძრაობას — შემობრუნებას ნახევარმჯდომარე მდგომარეობაში.

საგაზეთო სტატიის ზომა საშუალებას არ იძლევა თუნდაც მოკლედ შევჩერდე თვითეულ ცეკვაზე. მაგრამ არ შემიძლია გვერდი ავუარო ხალხის მიერ შექმნილ და უსაზღვროდ საყვარელ ცეკვას — „ქართულს". ამ ცეკვაში ყველაფერი ჰარმონიულია, არაჩვეულებრივად პოეტური — შთაგონებული შინაარსიც, შესრულების შესანიშნავად მიგნებული ფორმაც, რომელიც ქმნის უაღრესად გამომსახველი და თავის დუმილში მჭევრმეტყველური საცეკვაო დიალოგის შთაბეჭდილებას. უაღრესად სპეციფიკურია „ქართულის" ტექნოლოგიაც — სამ ტაქტად მოძრაობის პრინციპი, სინარნარე, ტანის ქანდაკური დგომა, ხელების მდგომარეობა, რაც XII და XIII საუკუნეთა ფრესკების სქემას იმეორებს.

ქართულ ქორეოგრაფიას მდიდარი წვლილი შეაქვს ცეკვის მსოფლიო საგანძურში. ამაზე მეტყველებს ქართული ქორეოგრაფიის გამარჯვება ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში 1957 წელს, ამას მოწმობს ის დიდი წარმატება, რაც საფრანგეთში მოიპოვა საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ეჭვი არ არის, მოსკოვშიც, მომავალი დეკადის დღეებში ქართული ხელოვნების დღესასწაულზე, სადაც ცეკვის ანსამბლთან ერთად გამოვა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლიც (ქორეოგრაფი ჯ. ბაგრატიონი), იმ დღეებში, როცა სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე ნაჩვენები იქნება შესანიშნავი ქორეოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც დიდი შექსპირის ტრაგედიის „ოტელოს" მოტივების მიხედვით შექმნა ქართული საბჭოთა ხელოვნების სამმა გამოჩენილმა მოღვაწემ — ა. მაჭავარიანმა, ვ. ჭაბუკიანმა და ს. ვირსალაძემ — ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები თავიანთი მაღალი ხელოვნებით ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ, თუ როგორ გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ქართული საბჭოთა კულტურა.

ლილი გვარამაძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.



ქართული ცეკვები.
მხატვარი რ. თარხან-მოურავი.

* * *

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა უდაკენდავალა სარანანკარა თხეროს

კოლომბო, 10 მარტი. (საკადესი). 8 მარტს კოლომბოს მუნიციპალური საბჭოს შენობაში ბუდისტ მღვდელს უდაკენდავალა სარანანკარა თხეროს საზეიმო ვითარებაში გადაეცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და მედალი.

ვეებერთელა დარბაზში, რომელიც მორთული იყო ცეილონის ალმებით და დიდი ტილოთი, რომელზეც გამოსახული იყო მშვიდობის მტრედი, შეიკრიბნენ თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, ბუდისტი მღვდელთმსახურები, მშვიდობისათვის მოძრაობის მონაწილენი, კოლომბოს და მისი მიდამოების მცხოვრებნი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები და კორესპონდენტები.

პრეზიდიუმში არიან უ. სარანანკარა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, ცეილონის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრი დე სილვა, ცნობილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწე საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ჯ. ნ. პრიტი, საბჭოთა კავშირის ელჩი ვ. გ. იაკოვლევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ჩან ცან-მინი, ჩეხოსლოვაკიის დროებითი საქმეთა რწმუნებული ზ. როსკოჩი, ბუდისტი მღვდლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

აქ მიღებული წესის თანახმად დარბაზში მყოფმა ბუდისტებმა წაიკითხეს ლოცვა, რომელიც აცხადებს ადამიანთა შორის სიკეთესა და მშვიდობას.

ცერემონიის გახსნისას დე სილვამ მოკლედ აღნიშნა უ. სარანანკარას დამსახურება მშვიდობისათვის მოძრაობაში და მიესალმა ნ. ს. ტიხონოვს, რომელიც კოლომბოში ჩამოვიდა, რათა გადასცეს პრემია ცეილონელი ხალხის წარმომადგენელს.

დე სილვამ მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტს ამ ქესტისთვის, რომელიც მოწმობს უ. სარანანკარას მიერ გაწეულ დიდ მუშაობას.

თავმჯდომარე — ბუდისტი მღვდელი კირივატუდუვე სრი პრაგნასარა თხერო სიტყვას აძლევს ნ. ს. ტიხონოვს.

ნ. ს. ტიხონოვს სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

როცა ნ. ს. ტიხონოვმა მღვდელ უ. სარანანკარას გადასცა ლაურეატის დიპლომი და მედალი, აგრეთვე თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვება უსურვა მშვიდობას, დარბაზმა უპასუხა მქუხარე ოვაციით და შეძახილებით „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“.

შემდეგ ლაურეატს საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭება მიულოცა ჯ. ნ. პრიტმა.

საზოგადო მოღვაწემ ქ-ნმა სუბასინგჰემ ცეილონელ ქალთა სახელით მიულოცა ჯილდო უ. სარანანკარას.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს უ. სარანანკარას. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ უ. სარანანკარას გამოსვლას.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა თავმჯდომარემ, რომელმაც განაცხადა, რომ ცეილონელი ხალხი იწონებს საბჭოთა კავშირის ხალხების მშვიდობიან მისწრაფებას და თანამშრომლობს მათთან ამ საქმეში. მან უ. სარანანკარას მრავალი წლის სიცოცხლე უსურვა.

საზეიმო ცერემონია დამთავრდა ბუდისტთა საგალობელით, რომელშიც გამოთქმულია მადლობა და საუკეთესო სურვილები ყველასადმი, ვინც ამ ცერემონიას დაესწრო.

ჩინური ქსოვილეგისა და ქარგულოგის გამოფენა

ჩინური აბრეშუმი ძველთაგანვე ცნობილი. ამ უძველესი კულტურის მქონე სახელმწიფოს მქსოველებმა შორს გაუთქვეს სახელი თავიანთ ქვეყანას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მხატვრული ქსოვილები და ნაქარგები.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა თანამედროვე ჩინური ქსოვილებისა და ნაქარგების გამოფენა, რომელიც მოაწყო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ.

გამოფენაზე წარმოდგენილია თანამედროვე ჩინელი მხატვრების მიერ დიდი ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებული 150 ნამუშევარი. ერთი მხრივ ეექსპონირებულია ძველი ტრადიციული წესით შესრულებული ქარგულობა და მეორე მხრივ მხატვრული ქსოვილები, რომლებზეც აბრეშუმისა და შალის ფერადი ძაფებით მანქანურად შესრულებულია ნახატები.

აღსანიშნავია, რომ ჩინურ ხელოვნებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქარგულობას. მარტო ქალაქ სუჯოუში ქარგულობას მისდევს ათასობით ქალი. ისინი თავიანთ ხელოვნებაში იყენებენ როგორც ეროვნულ ტრადიციულ მეთოდებს, ისე საზღვარგარეთის მიღწევებს ამ დარგში.

გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს შორის ყურადღებას იქცევს მაო ძე-დუნის პორტრეტი, „ლენინი მიტინგზე“, შესრულებული აბრეშუმის ძაფით, შალის ძაფით შესრულებული „ლენინი სმოლნში“, რომლებიც ისეთი ოტატობით, ფერების ჰარმონიული შეხამებით არის შექმნილი, რომ მხატვრული სურათების შთაბეჭდილებას ტოვებენ. აღსანიშნავია, რომ თვითეული ამ ნაქარგი ქსოვილის შექმნას მხატვარი მქსოველები 100 დღეზე მეტს მოუნდნენ.

დამთვალიერებლების ყურადღებას იქცევს მხატვრული ქსოვილები „სინხუას ტბის პანორამა“, „სინხუას ტბის ნაპირზე“, „გახეირნება ნავით მთვარიან ღამეს“ და სხვ.

ქარგულობიდან აღსანიშნავია ე ლუძიანის „ატმის ყვავილები“, ვან ჯუშის — „შოშია და ატმის ყვავილები“, ჯოუ ფინ-ეს და ვან ხუეი-ინის მიერ შესრულებული „ხოხბები“. აგრეთვე ყურადღებას იპყრობს ჩინეთში კარგად ცნობილი ორმაგი ქარგულობის ნიმუში „კატის კნუტები“.

გამოფენაზე წარმოდგენილია ქარგულობის პროცესის მაჩვენებელი მასალა დასაწყისიდან დამთავრებამდე. ამ მასალის გაცნობით დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა წარმოიდგინოს ის რთული და ხანგრძლივი სამუშაო, რომელსაც ასრულებენ ჩინელი მხატვარი მქარგავები.

თბილისის საზოგადოებრიობა ინტერესით ათვალიერებს ჩინელი ოსტატების ნახელავს. შთაბეჭდილებათა წიგნში პირველ დღესვე გაჩნდა ჩანაწერები, სადაც დამთვალიერებლები დიდ შეფასებას აძლევენ ჩინეთის მხატვრულ ქსოვილებსა და ნაქარგებს.

სურათებზე: (ზევით) გამოფენის ერთ-ერთი კუთხე; (ქვევით) ფრინველები — მრავალფერადი აბრეშუმის ქსოვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა მეომრების მეგობრული გაცილება

ბრანდენბურგი, 10 მარტი. (საკადესი). დღეს ქალაქ ბრანდენბურგის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მცხოვრებნი გულთბილად გამოეთხოვნენ საბჭოთა არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში მიჰყავთ 300 ათასი კაცით შეიარაღებული ძალების ახალი შემცირების შესახებ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად. გაცილების ცერემონიაზე ქალაქ ბრანდენბურგში ჩამოვიდნენ საელჩოთა სამხედრო ატაშეები, რომლებიც აკრედიტებული არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, დასავლეთის საელჩოებისა სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლები, მრავალი გერმანელი და უცხოელი ჟურნალისტი.

გაცილების გამო ბრანდენბურგში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, ეროვნული სახალხო არმიის სამხედრო მოსამსახურეები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები. გამოსულნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალების ახალი შემცირების შესახებ მოწმობს სსრ კავშირის განზრახვას პრაქტიკული საქმეებით შეუწყოს ხელი მშვიდობის განმტკიცებას. გულთბილად შეხვდნენ ფოლადსაგლინავი ქარხნის მუშის ზალსკეს სიტყვას, რომელმაც ბრანდენბურგის მშრომელთა სახელით რწმენა გამოთქვა, რომ გერმანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

მიტინგზე გამოვიდნენ ამ ნაწილების პირადი შემადგენლობის წარმომადგენლები, რომლებიც სამშობლოში მიდიან, პო